

2022-2023 სასწავლო წლის
სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა
საუთნოს საქმის ბაკალავრის პროგრამა
დიაგნოსტიკის საფუძვლები (V სემესტრი)

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (N3; 05/01/2007) შესაბამისად.

სტუდენტის მიღწევა ფასდება 100 ქულიანი შკალით. შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი საგამოცდო შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.

შუალედური შეფასების მეთოდების/ნაწილების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით:

შეფასების მეთოდი/ნაწილი	ქულების რაოდენობა	განმარტება
პრაქტიკულზე დასწრება	≤4 ქულა	4 ქულა სტუდენტს ენიჭება ყოველ პრაქტიკულ მეცადინეობის სრული დროის დასწრების შემთხვევაში; მეცადინეობის სრულად ან 1/3-ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში დასწრების ქულა არ ენიჭება (0 ქულა); დასწრების საერთო ქულა განისაზღვრება თითოეულ პრაქტიკულზე დასწრების ქულათა საშუალო არითმეტიკულით
აკადემიური აქტიურობა	≤24 ქულა;	სასწავლო თემის შესაბამისი საკითხის ირგვლივ თნობით ჩამოყალიბებული დებულებების / მიზანრის / მტკიცებების / განხილვების და/ან აღნიშნული საკითხის გამოკითხვის (პასუხები დასმულ შეკითხვებზე) შედეგების შეფასებით. შეფასება არ ხდება პირველ პრაქტიკულ მეცადინეობაზე და ასევე ჩათვლის დღეს. ამდენად, სტუდენტის აქტიურობა შეფასდება 4-ჯერ, თითოეულ შეფასებაზე - 6 ქულით;
პრაქტიკული უნარები	≤12 ქულა	კურსის მიმდინარეობის განმავლობაში თითოეული სტუდენტის პრაქტიკული უნარები, კლინიკური აზროვნება და პროფესიული მიდრეკილება შეფასდება 3-ჯერ სხვადასხვა პრაქტიკულ მეცადინეობაზე, თითოეულ შემთხვევაში 4 ქულით; პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის სტუდენტს დაევალება სასწავლო თემატიკის საკითხების ფარგლებში მოდელური კლინიკური სიტუაციის (კლინიკური შემთხვევის) განხილვა.
ჩათვლა /კოლოკვიუმები	≤20 ქულა	კურსის პრაქტიკული მეცადინეობების VIII და XV დღეს, ჩატარდება 2 ჩათვლა/კოლოკვიუმი; თითოეული ჩათვლა/კოლოკვიუმი შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით;
სულ	≤60 ქულა	გამოითვლება პრაქტიკულზე დასწრების, აკადემიური აქტიურობის, პრაქტიკული უნარების და ჩათვლა/კოლოკვიუმის ქულათა ჯამით

სასწავლო კურსი მთავრდება დასკვნითი გამოცდით. გამოცდა ფასდება 40 ქულით.

!!! გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, თუ შუალედური შეფასებისა და მინიმალური საგამოცდო შეფასების ჯამით მას შეიძლება დაუგროვდეს 51 და მეტი ქულა, ანუ შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 31 ქულას.

საგამოცდო შეფასება შედგენილი იქნება ორი კომპონენტით: მრავალარჩევნიანი ტესტებით და ზეპირი გამოკითხვით შეფასების კომპონენტებისგან. შესაბამისად შეფასებები განხორციელდება ამ კომპონენტების ჯამური შედეგებით: მრავალარჩევნიანი ტესტებით შეფასების წილი არ აღემატება 16 ქულას, ხოლო ზეპირი გამოკითხვის შედეგი - 24 ქულას.

შეფასების სისტემით დაშვებულია ხუთი სახის (დონის) **დადებითი შეფასება:**

- (A) ფრიადი –91 ქულა და მეტი;
- (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;
- (C) კარგი –71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;
- (E) საკმარისი –51-60 ქულა;

შეფასების სისტემით დაშვებულია ორი სახის **უარყოფითი შეფასება:**

- (F_x) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა - რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – ≤40 ქულა - რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.